ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3435609

ნომერი: AR1525189

თარიღი : 21.07.2017

გაცემის თარიღი : 28.07.2017

გაცნობის თარიღი : 28.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 140 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალოდია დათუნაშვილი პ/ნ 13001002302
- თბილისი ვარკეთილის მას. II მ/რ კორ. 3 ბ. 42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განხილულა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაო ხორციელდება შენობის მიშენებულ ნაწილზე და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება აღნიშნული მიშენების კანონიერების საკითხი (არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს), იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მისი დაკმაყოფილება ლეგალიზაციის კუთხით, თუ მშენებლობა დაწყებულია 2007 წლამდე უნდა აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა– ლეგალიზაცია, "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები", "მშენებლობის სტატუსები: – უნებართვო მშენებლობა", "ქმედებები: მიშენებებული–დაშენებული", "ლეგალიზების ტიპი: – ლეგალიზება" და შეავსოთ შესაბამისი ველები.
მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ შესაძლებელი იქნება განაცხადის განხილვა.
ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად ფართზე ფიქსირდება სარგებლობები. იმ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართს, წარმოადგინეთ მოსარგებლ(ებ)ის სათანადოდ დამოწმებული თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება, განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.